

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
სტუდენტთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ევროპის სხვა
ქვეყნებთან მიმართებით

2019 -2021 წლების ევროსტუდენტის კვლევის შედეგები



საქართველოს
განათლებისა და
მეცნიერების
სამინისტრო



Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union



წინამდებარე პროექტი განხორციელდა ევროკომისიის თანადაფინანსებით. პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორთა აზრს და კომისია არ არის პასუხისმგებელი მის შინაარსზე.

ბროშურა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის „უმაღლესი განათლების ხელშეწყობა“ ქვეპროგრამის „ევროსტუდენტის ეროვნული პროექტი“ ფარგლებში ქვეპროგრამის კოორდინატორის, მზია წერეთლის მიერ „ევროსტუდენტის“ საერთაშორისო და ეროვნული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით (www.eurostudent.eu).

ბროშურაში განხილულია 2019-2021 წლებში ჩატარებული ევროსტუდენტის საერთაშორისო კვლევის შედეგები საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების მონაცემებთან მიმართებით.

ბროშურა განკუთვნილია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, უმაღლესი განათლების პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებისა და განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი და განმახორციელებელი პირებისათვის, სტუდენტებისა და აგრეთვე საკითხით დაინტერესებული სხვა სპეციალისტებისათვის.

თბილისი

2022 წელი

სარჩევი

შესავალი	4
საერთაშორისო შედარებითი კვლევის მიზანი	5
კვლევის მეთოდოლოგია	7
ძირითადი შედეგები	8
სტუდენტთა ასაკი და სქესი.....	9
სტუდენტები, რომელთაც ჰყავთ შვილი/შვილები.....	16
სტუდენტთა მშობლების განათლება	17
მშობლების ფინანსური მდგომარეობა.....	18
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ტრანზიციის (გადასვლა სკოლიდან უმაღლესში, ბაკალავრიატიდან მაგისტრატურაში) ..	21
სასწავლო პროგრამის/განათლების სფეროს არჩევანი	23
სტუდენტთა გენდერული განაწილება სწავლების საფეხურის, პროგრამების და მშობლების განათლების მიხედვით	28
განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტები.....	29
სტუდენტთა მიერ დახარჯული დრო სწავლასა და მუშაობაზე	31
სტუდენტთა დასაქმება	33
საკუთარი თავის იდენტიფიცირება: “პირველ რიგში სტუდენტი ვარ თუ დასაქმებული?”.....	35
სტუდენტთა შემოსავლები და დანახარჯები	36
სტუდენტთა საცხოვრებელი (Form of Housing).....	39
სტუდენტთა საერთაშორისო მობილობა.....	41
ძირითადი რეკომენდაციები	46
გამოყენებული მასალები	47
დანართი #1 - ევროსტუდენტი VII-ის კვლევის მონაწილე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.....	47
დანართი #2 - მონაწილე ქვეყნების შემოკლებული აღნიშვნები.....	51

შესავალი

„ევროსტუდენტი“ არის ფართომასშტაბიანი საერთაშორისო ლონგიტუდური კვლევა, რომელიც შეისწავლის ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და მათი ცხოვრების პირობებს. კვლევა ტარდება ევროპის ქვეყნების მსაშტაბით, კვლევის ტალღების სახით, 3-4 წელიწადში ერთხელ.

"ევროსტუდენტის" ძირითადი მიზანია ევროპის უმაღლესი განათლების სოციალური სფეროს შესახებ ინფორმაციის შეგროვება ევროპის ქვეყნების სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, საცხოვრებელი პირობების, შემოსავლებისა და ხარჯების, სასწავლო პროცესით კმაყოფილების და ა.შ. შესწავლის საფუძველზე.

აღნიშნული კვლევა თავისი სპეციფიკიდან და მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, კვლევაში მონაწილე ქვეყნებში არსებული სიტუაციის შედარების შესაძლებლობას იძლევა, რაც მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროა განათლების პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირებისათვის, განათლების მკვლევრებისთვის, სტუდენტების მდგომარეობით დაინტერესებული ყველა პირისა თუ ორგანიზაციისათვის. კვლევა ასევე გამოავლენს ევროპული განათლების სივრცის ფუნქციონირების პრობლემებსა და ბარიერებს.

„ევროსტუდენტის“ კვლევის მონაცემებით ვლინდება დაახლოებით 250 საკვანძო ინდიკატორი. მაგ.: უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა, სწავლის განმავლობაში სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური პირობები, საერთაშორისო მობილობა და ა.შ.

გამოკითხვის შედეგად, კონსორციუმში „ევროსტუდენტი“ უნიფიცირებული ფორმით აგროვებს ინფორმაციას ყველა მონაწილე ქვეყნიდან, ამასთან, აკონტროლებს ხარისხსა და წარმოდგენილი მონაცემების სანდოობას სოციოლოგიური თვალსაზრისით. მონაცემთა საერთო ბაზის საფუძველზე მზადდება თემატური საერთაშორისო შედარებითი ანგარიშები, რომლებიც გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე www.eurostudent.eu. კვლევა ვრცელ ინფორმაციას აწვდის განათლების სფეროს პოლიტიკაზე პასუხისმგებელ პირებს, განათლების მკვლევრებს და, ასევე, სტუდენტების მდგომარეობით დაინტერესებულ ყველა მხარეს.

2014 წელს საქართველომ ევროსტუდენტის მე-5 ტალღაში მონაწილეობა მიიღო, როგორც საპილოტე ქვეყანამ. ევროსტუდენტის კონსორციუმის მიერ 2016 წლიდან დაიწყო ევროსტუდენტის პროექტის VI ტალღა, რომელიც 2018 წელს დასრულდა. კვლევაში მონაწილეობდა 28 ქვეყანა. VI ტალღის კვლევაში საქართველო სრულად იყო ჩართული. 2018-2021 წლებში განხორციელდა ევროსტუდენტის მეშვიდე ტალღა, რომელშიც ევროპის 27 ქვეყანა იყო ჩართული. საქართველოში ევროსტუდენტის პროექტი ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით.

საქართველოში "ევროსტუდენტის" ჩატარების მიზანი იყო ამ ქვეყნის უსდ-ების სტუდენტთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, აგრეთვე, სწავლისა და ცხოვრების პირობების შესწავლა. კვლევა განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოქმედი ქვეპროგრამის "ევროსტუდენტის ეროვნული პროექტი" ფარგლებში.

2019-2021 წლებში საერთაშორისო შედარებითი კვლევის („ევროსტუდენტი VII“) დაფინანსების წყაროებია: ევროკავშირი, გერმანიის განათლებისა და კვლევის ფედერალური სამინისტრო, ნიდერანდების განათლების, კულტურისა და მეცნიერების სამინისტრო. მონაწილე ქვეყნების კვლევის დაფინანსებას უზრუნველყოფს ქვეყნების ბიუჯეტი, ხოლო ქვეყანათა მონაწილეობის საფასური დაიფარა თანადაფინანსებით, ერაზმუს + -ის ფარგლებში გამოყოფილი სპეციალური გრანტით.

ევროსტუდენტის კვლევის განხორციელებაში, ჩვეულებრივ, ჩართული არიან სამინისტრო ან სახელმწიფო სააგენტო, ადგილობრივი კვლევითი ჯგუფი და ევროსტუდენტის საერთაშორისო კონსორციუმის თემატური ჯგუფები.

საერთაშორისო შედარებითი კვლევის მიზანი

ევროსტუდენტის შედარებითი საერთაშორისო კვლევის მიზანია ევროპის უმაღლესი განათლების სოციალური სფეროს შესახებ ინფორმაციის შეგროვება ევროპის ქვეყნების სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, საცხოვრებელი პირობების, შემოსავლებისა და ხარჯების, სასწავლო პროცესით კმაყოფილების და ა.შ. შესწავლის საფუძველზე.

ევროსტუდენტის საერთაშორისო კვლევის ძირითადი საკითხები/სფეროებია:

- *სწავლის ტიპი და ინტენსივობა;*
- *სტუდენტთა მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესვლის გზები;*
- *სტუდენტთა სოციალური მდგომარეობა/პირობები (Social Background);*
- *სტუდენტთა დასაქმება და დროის განაწილება;*
- *სტუდენტთა ფინანსური წყაროები;*
- *სტუდენტთა სხვადასხვა ხარჯი;*

- სტუდენტთა საცხოვრებელი პირობები;
- სტუდენტთა საერთაშორისო და ადგილობრივი მობილობა;
- სტუდენტთა მიერ სამომავლო გეგმებისა და სწავლის შეფასება.

ევროსტუდენტის საერთაშორისო შედარებითი კვლევა აქცენტს აკეთებს ჯგუფებზე, რომლებიც განსხვავდებიან შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

1. სტუდენტების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები. ესენია:

- ასაკი - ა) 22 წლამდე, ბ) 22-24 წელი, გ) 25-29 წელი, დ) 30 წელი და მეტი;
- სტუდენტები უმაღლესი განათლების ფონით - ა) სტუდენტები, რომელთა ერთ მშობელს მაინც აქვს უმაღლესი განათლება; ბ) სტუდენტები, რომელთა არცერთ მშობელს არ აქვს უმაღლესი განათლება;
- სტუდენტები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით/ მათ გარეშე;
- სტუდენტები მიგრაციის საფუძვლით ა) სტუდენტები, რომლებიც როგორც თვითონ, ისე მათი მშობლებიც დაიბადნენ კვლევის ქვეყანაში და სრული სასკოლო განათლება მიიღეს ამ ქვეყანაში; ბ) სტუდენტები, რომლებიც დაიბადნენ კვლევის ქვეყანაში, თუმცა მათი ერთი მშობელი მაინც დაიბადა საზღვარგარეთ და სკოლა დაასრულა სხვა ქვეყანაში;
- სქესი - ა) ქალი ბ) მამაკაცი.

2. სტუდენტების ცხოვრების პირობები

- შემოსავლების წყაროები (50%-ზე მეტი ერთი წყაროდან) - ა) ოჯახის მხარდაჭერაზე დამოკიდებული; ბ) საკუთარ შემოსავალზე დამოკიდებული; გ) სახელმწიფო მხარდაჭერაზე დამოკიდებული;
- სტუდენტები ფინანსური სირთულეებით/მათ გარეშე;
- საცხოვრებელი სიტუაცია - ა) მშობლებთან მცხოვრები; ბ) დამოუკიდებლად მცხოვრები;
- ანაზღაურებადი სამუშაოს მქონე სტუდენტები - ა) სტუდენტები, რომლებიც მუშაობენ კვირაში 20 საათამდე დროის განმავლობაში სემესტრში; ბ) სტუდენტები, რომლებიც მუშაობენ კვირაში 20 საათზე მეტი დროის განმავლობაში სემესტრში; გ) სტუდენტები, რომლებსაც არ აქვთ ანაზღაურებადი სამუშაო სემესტრის განმავლობაში;

3. სტუდენტების სწავლის პირობები:

- სასწავლო პროგრამა (დარგები/დარგობრივი მიმართულებები)
- სწავლა/სწავლების ინტენსივობა - ა) მაღალი ინტენსივობა, როცა სტუდენტი 40 სთ-ზე მეტს უთმობს სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებულ აქტივობებს; ბ) დაბალი ინტენსივობა, როცა სტუდენტი 40 სთ-ზე ნაკლებს უთმობს სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებულ აქტივობებს;
- უნივერსიტეტის ტიპი - (ჩვენთან უმაღლესი სავანმანათლებლო დაწესებულება).
- სასწავლო პროგრამის საფეხური - ა) ბაკალავრი, ბ) მაგისტრი, გ) გრძელვადიანი პროგრამა, დ) მოკლევადიანი პროგრამა და ა.შ.

4. სწავლასთან დაკავშირებული წინაპირობები:

- უსდ-ში შესვლის გზა - ა) სტანდარტული გზა; ბ) ალტერნატიული გზა;
- განათლების წყარო - ა) საერთაშორისო სტუდენტი, რომელსაც აქვს უცხოური კვალიფიკაცია უსდ-ში შესვლისთვის; ბ) ადგილობრივი სტუდენტი, რომელმაც უსდ-ში რეგისტრაციის კვალიფიკაცია მოიპოვა კვლევის ქვეყანაში.
- ტრანზიციის გზა - ა) დაგვიანებული ტრანზიცია, როცა სტუდენტი აბარებს უსდ-ში სკოლის დასრულებიდან 2 წელზე მეტი დროის გასვლის განმავლობაში; ბ) პირდაპირი ტრანზიცია, როცა სტუდენტი აბარებს უსდ-ში სკოლის დასრულებიდან 2 წლის განმავლობაში.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული იყო ევროსტუდენტის სტანდარტული, ე.წ. ბირთვი კითხვარი. მონაწილე ქვეყნების მიერ მოხდა მისი ადაპტაცია ეროვნული სავანმანათლებლო სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით, აგრეთვე, დაემატა რიგი კითხვები განათლების პოლიტიკის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

სასწავლო პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, საქართველოში გამოყენებული იყო კითხვარი სამ - ქართულ, რუსულ და ინგლისურ - ენაზე.

2019-2021 წლის ევროსტუდენტი VII-ის საერთაშორისო კვლევაში მონაწილეობას იღებდა ევროპის 26 ქვეყანა - ისლანდია, ირლანდია, ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, დანია, ლიეტუვა, ესტონეთი, პორტუგალია, თურქეთი, საქართველო, იტალია, შვეიცარია, საფრანგეთი,

ნიდერლანდები, გერმანია, ავსტრია, ჩეხეთი, მალტა, პოლონეთი, სლოვენია, უნგრეთი, ხორვატია, ალბანეთი, რუმინეთი და ლუქსემბურგი.

უმეტეს ქვეყნებში კვლევის მონაწილეები შემოიფარგლნენ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტთა გამოკითხვით. მთლიანად ევროპაში კვლევაში მონაწილეობა მიიღო 292 529 სტუდენტმა, მათ შორის, 160 167 ქალმა და 132 362 კაცმა.

საქართველოში კვლევაში მონაწილეობა მიიღო 7676-მა სტუდენტმა, მათ შორის იყო 5602 ბაკალავრიატის, 721 მაგისტრატურის, 1079 ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის სტუდენტი. მონაწილეების გენდერული განაწილება ასეთი იყო: 4557 ქალი და 3119 მამაკაცი. კვლევის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შერჩევის პროცედურა შედგენილი იყო ისე, რომ გამოიკითხულიყო 50 და მეტი სტუდენტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ-ს), საგანმანათლებლო საფეხურის, პროგრამის, სქესის, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. მონაცემები შეიწინა უმაღლესი სასწავლებლის ტიპის, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, საგანმანათლებლო (სასწავლო) მიმართულების, ასაკისა და სქესის ცვლადების გათვალისწინებით. კვლევაში ჩართული იყო ქვეყანაში ავტორიზებული 55 არასპეციალიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება¹. კვლევის ადმინისტრირება განხორციელდა ინტერნეტ-ლინკზე განთავსებული კითხვარის საშუალებით.

ძირითადი შედეგები

ქვემოთ წარმოდგენილია ზემოაღნიშნულ თემებთან დაკავშირებით საერთაშორისო შედარებითი კვლევის შედეგად სხვადასხვა ჯგუფში მიღებული ძირითადი შედეგები. ევროსტუდენტის საერთაშორისო შედარებითი კვლევის სრული ანგარიში წარმოდგენილია ევროსტუდენტის კონსორციუმის ვებ გვერდზე: <https://www.eurostudent.eu/publications>

¹ მონაწილე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამონათვალი იხ. დანართში. "ევროსტუდენტის" მეთოდოლოგიის მიხედვით, სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია და სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია არ მონაწილეობდნენ კვლევაში. ვინაიდან სასულიერო უსდ-ში სტუდენტთა ნაკლები რაოდენობაა და ასეთი უსდ-ები სტუდენტებს მეტ-ნაკლებად ერთგვაროვან პროგრამებს სთავაზობენ, სამინისტროსთან კონსულტაციის შედეგად, შერჩევის პროცედურის შემუშავებისას სასულიერო უსდ-ები ერთ კატეგორიაში გაერთიანდა. კვლევაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა ორმ უნივერსიტეტმა, ესენია - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი და შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი.

სტუდენტთა ასაკი და სქესი

მონაწილე ქვეყნებში სტუდენტთა საშუალო ასაკი 25,8 წლია (SD=6.7; Median=23.7). ამასთან, სტუდენტთა 64%-ის ასაკი 25 წელზე ნაკლებია. ახალგაზრდა სტუდენტების რიცხვით ქვეყნებს შორის ლიდერობს საფრანგეთი, სადაც სტუდენტთა 86%-ის ასაკი 25 წელს ქვევითაა. ამასთან, სტუდენტთა 61% 21 წლისა ან უფრო ახალგაზრდა, ხოლო 25% - 22 წლიდან 25 წლამდე. ამ მხრივ, მეორე ადგილზეა **საქართველო**, სადაც 25 წელზე ნაკლები ასაკის სტუდენტები სტუდენტების მთლიანი პოლულაციის 85%-ს შეადგენენ. ამასთან, სტუდენტთა 49% 21 წლისა ან უფრო ახალგაზრდა, ხოლო 36% - 22 წლიდან 25 წლამდე. 25 წლამდე ასაკის სტუდენტების სიმრავლის თვალსაზრისით, მესამე ადგილზეა თურქეთი (78%), ხოლო შემდგომ ადგილზე კი - ნიდერლანდები (77%) და იტალია (77%).

ისლანდიაში, ფინეთსა და ნორვეგიაში 30 წელზე მეტი სტუდენტების ყველაზე დიდი წილია წარმოდგენილი (შესაბამისად, 34%, 32% და 30%). ამ ქვეყნებისთვის სტუდენტთა საშუალო ასაკია ასეთია: ისლანდიაში - 30.1 წელი (SD=9.7), ფინეთში - 29 (SD=8.2) წელი, ხოლო ნორვეგიაში 28.7 წელი (SD=9.1).


21 წლის ან უფრო ახალგაზრდა სტუდენტების ყველაზე დიდი წილი წარმოდგენილია საფრანგეთში (61%), ირლანდიაში (56%) და პორტუგალიაში (54%). **საქართველოში** ამ ასაკობრივი ჯგუფის სტუდენტთა პროცენტული წილი 54-ს შეადგენს. თუმცა, საქართველო შედის იმ სამ ქვეყანაში, რომელიც ლიდერობს სტუდენტთა ყველაზე ახალგაზრდა საშუალო ასაკის მიხედვით, კერძოდ, საფრანგეთში სტუდენტთა საშუალო ასაკია 22.4 წელი (SD=5), **საქართველოში** სტუდენტთა საშუალო ასაკია 22.6 (SD=2.8), ხოლო იტალიაში კი - 22.8 (SD=4.2). დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი და დიაგრამა.

სტუდენტთა ასაკობრივი ჯგუფები მონაწილე ქვეყნების მიხედვით					
	ქვეყნები	< 22წლის	22 - 24 წლის	25 - 29 წლის	30 წლის და მეტის
AT ²	ავსტრია	21.7	29.8	28	20.5
CH	შვეიცარია	17.1	37.2	32.1	13.6
CZ	ჩეხეთი	36.7	35.9	17.2	10.1

² აქ და ქვემოთ წარმოდგენილ ნახატებზე გამოყენებულია ქვეყნების ეს აღნიშვნები. უფრო დეტალურად ევროსტუდენტის კვლევაში გამოყენებული აღნიშვნების შესახებ, იხ. დანართში მოცემულ ცხრილში.

DK	დანია	13.1	42.6	31	13.3
EE	ესტონეთი	26	27.7	19.7	26.6
FI	ფინეთი	12.5	27.7	28.1	31.7
FR	საფრანგეთი	60.6	25	9.2	5.2
GE	საქართველო	48.9	35.6	13.1	2.4
HR	ხორვატია	37.1	35.7	17	10.1
HU	უნგრეთი	26.1	36.4	19.9	17.6
IE	ირლანდია	55.6	17.9	9.2	17.4
IS	ისლანდია	16.8	25.2	24.2	33.8
IT	იტალია	46.3	31.2	15.9	6.5
LT	ლიეტუვა	45.4	27.3	13.6	13.6
LU	ლუქსემბურგი	16.1	58.5	14	11.4
MT	მალტა	33.5	26.4	16.8	23.4
NL	ნიდერლანდები	47.2	29.7	15.9	7.1
NO	ნორვეგია	20.1	28.2	22.2	29.5
PL	პოლონეთი	36.2	37.8	13.6	12.4
PT	პორტუგალია	54.2	21.7	10.5	13.5
RO	რუმინეთი	45.5	27.7	9.2	17.5
SE	შვედეთი	22.3	31.7	23.4	22.6
SI	სლოვენია	39.7	34.6	15.5	10.3
TR	თურქეთი	49.1	28.7	14.1	8

სტუდენტთა საშუალო ასაკი მონაწილე ქვეყნების მიხედვით




მონაწილე ქვეყნების მონაცემთა მიხედვით, ბაკალავრ სტუდენტთა საშუალო ასაკი 24.5 წელია, ხოლო მაგისტრ სტუდენტთა ასაკი - 28/9 წელი. საქართველოში საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების საშუალო ასაკი 22,2 წელია, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისა - 26,1 წელი. მონაწილე ქვეყნებში ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტთა საშუალო ასაკის შესახებ მონაცემები იხ. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

სტუდენტთა ასაკი ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაზე მონაწილე ქვეყნების მიხედვით		
	ბაკალავრიატი [ISCED 6]	მაგისტრატურა [ISCED 7]
AT	25.9	29.4
CH	24.8	28.3
CZ	23.9	26.8
DK	25.6	27.1
EE	26.2	31.3
FI	28	31.8
FR	21.1	25.6
GE	22.2	26.1
HR	23.5	26.2
HU	26	27.6
IE	23.2	31.9
IS	27.4	35.8
IT	21.9	25.2
LT	24	29.3
LU	23.4	29.4
MT	24.4	31.4
NL	22.7	26.1
NO	26.2	32.7
PL	23.8	27.6
PT	23.2	28.3
RO	24.3	28.5
SE	25.8	28.7
SI	23.4	26.9
TR	23.4	29.5

მონაწილე ქვეყნების მონაცემთა მიხედვით, საშუალოდ, ქალი სტუდენტების წილი 56%-ია. ყველა ქვეყანაში, გარდა თურქეთისა და გერმანიისა, ქალი სტუდენტები სჭარბობენ მამაკაც სტუდენტებს და მათი წილი 50%-ს აღემატება. თურქეთში ქალ სტუდენტთა წილი 48%-ია, ხოლო გერმანიაში - 48%. განსაკუთრებით მაღალია ქალი სტუდენტების წილი ესტონეთში (59%), ისლანდიაში (64%), ნორვეგიაში (60%), შვედეთში (60%), სლოვენიაში (58%), უნგრეთში (58%), მალტაში (58%), დანიაში (57%) და ჩეხეთში (57%). **საქართველოში** ქალი სტუდენტების წილი 51%-ია.

მონაწილე ქვეყნების მიხედვით მდებრობითი სქესის სტუდენტთა საშუალო ასაკი 25.8 წელია, ხოლო მამრობითი სქესის სტუდენტთა ასაკი - 25.7 წელი. **საქართველოში** მდებრობითი სქესის სტუდენტთა საშუალო ასაკი 22.2 წელია, ხოლო მამრობითი სქესის სტუდენტთა საშუალო ასაკი - 22.5 წელი. ქვეყნების მიხედვით ქალ და მამაკაც სტუდენტთა საშუალო ასაკისა და სიხშირის პროცენტული განაწილება წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში და დიაგრამაზე.

ქალ და მამაკაც სტუდენტთა პორცენული განაწილება მონაწილე ქვეყნების მიხედვით




ქალ და მამაკაც სტუდენტთა საშუალო ასაკი მონაწილე ქვეყნების მიხედვით		
	ქალი	მამაკაცი
AT	26.4	27.7
CH	25.8	25.8
CZ	24.6	24.6
DK	26.1	25.9
EE	28	26.7
FI	29.3	28.5
FR	22.3	22.4
GE	22.5	22.7
HR	23.8	24.7
HU	26.3	26.2
IE	25.1	25
IS	30.6	29.2
IT	22.8	22.8
LT	25	24.4
LU	24.8	25.4
MT	26.9	27.4
NL	23	23.7
NO	29.2	27.9
PL	24.7	24.9
PT	23.9	24.4
RO	24.9	25.5
SE	28.6	26.9
SI	23.9	24.9
TR	22.7	24.1

სტუდენტები, რომელთაც ჰყავთ შვილი/შვილები

მონაწილე ქვეყნებში სტუდენტთა საშუალოდ 11 % ჰყავს შვილები. ქვეყანათა დაახლოებით ერთ მესამედში იმ სტუდენტების წილი, რომელთაც ჰყავთ შვილები, არის 5 % ან ნაკლები. ამ ქვეყანათა რიცხვში შედის **საქართველოც**, სადაც შვილიანი სტუდენტების წილი 5%-ს შეადგენს.

შვილიანი სტუდენტების წილი მონაწილე ქვეყნებს შორის ყველაზე მცირეა **იტალიაში** და იგი 2%-ს შეადგენს, ხოლო შემდეგ კი საფრანგეთში (3%).

ისლანდიაში, ნორვეგიაში, ესტონეთში, ფინეთსა და შვედეთში სტუდენტების 15%-ზე მეტი მშობელია. შვილიანი სტუდენტების რიცხვი ისლანდიაში 32%-ია, ნორვეგიაში - 23%, ესტონეთში - 21%, ფინეთში - 19%, ხოლო შვედეთში -16%. უფრო დეტალური ინფორმაცია ქვეყნების მიხედვით იმ სტუდენტების წილის შესახებ, რომელთაც ჰყავთ შვილები, იხ. ნარმოდგენილ დიაგრამაზე.



სტუდენტთა მშობლების განათლება

ევროპის ქვეყნები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან იმ სტუდენტების წილით, რომელთა მშობლებიდან არცერთს არ აქვს უმაღლესი განათლება (ISCED³ level 5-8) და ეს სხვაობა მერყეობს 73%-დან 21%-მდე.


იმ სტუდენტთა წილი, რომელთა არცერთ მშობელს არ აქვს უმაღლესი განათლება, ყველაზე მაღალია თურქეთში და შეადგენს 73%-ს, შემდეგ მოდის იტალია - 66%-ით, მალტა - 65%-ით პორტუგალია - 59%-ით, რუმინეთი - 58%-ით, უნგრეთი (55%) და პოლონეთი - 55%-ით.

იმ სტუდენტთა წილი, რომელთა არც ერთ მშობელს არ აქვს უმაღლესი განათლება, ყველაზე დაბალია საქართველოში (21%), ნორვეგიაში (23%), დანიაში (26%), გერმანიაში (27%).

უფრო დეტალური ინფორმაცია ქვეყნების მიხედვით იმ სტუდენტების წილის შესახებ, რომელთა არც ერთ მშობელს არ აქვს უმაღლესი განათლება, იხ. წარმოდგენილ დიაგრამაზე.

³ <http://uis.unesco.org/en/topic/international-standard-classification-education-isced>

სტუდენტები, რომელთა მშობლებსაც უმაღლესი განათლება არ აქვთ მიღებული (ISCED 2011 0-4)



მშობლების ფინანსური მდგომარეობა

მშობელთა ფინანსური მდგომარეობის შეფასება მოხდა სტუდენტთა მიერ. მონაწილე ქვეყნათა შორის 32%-დან 12%-მდე ვარირებს იმ სტუდენტების წილი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მათი მშობლები გჭირვებულები ან ძალიან გაჭირვებულნი არიან. ამ მხრივ ლიდერობს


თურქეთი (32%), ლექსემბურგი (31.9%), ირლანდია (29.8%), უნგრეთი (22.3%), რუმინეთი (24.4%) და მალტა (22.8%), ხოლო ყველზე მცირე წილი მოდის ჩეხეთზე (11.9%), შვედეთზე (12%) და პოლონეთზე (12%).

საქართველოში ასეთ სტუდენტთა წილი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მათი მშობლები გაჭირვებულები ან ძალიან გაჭირვებულები არიან, 18.1%-ია.

აღსანიშნავია, რომ განსხვავებულია გაჭირვებული ოჯახების წილი სტუდენტთა მშობლების განათლების მიხედვით. უმაღლესი განათლების არ მქონე მშობლების სტუდენტების წილი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ფინანსურად გაჭირვებული ან ძალიან გაჭირვებული არიან, საშუალოდ, მონაწილე ქვეყნებს შორის, შეადგენს 27%-ს. მაშინ როცა უმაღლესი განათლების მქონე მშობლების გაჭირვებულ სტუდენტთა წილი მხოლოდ 13%-ია. ეს განსხვავება ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევაში 20%-ს აღემატება. ასე მაგალითად, გერმანიასა და მალტაში გაჭირვებულ სტუდენტთა წილი 24%-ით, ხოლო ირლანდიაში 23%-ით და თურქეთში 22%-ით მაღალია იმ სტუდენტთა შორის, რომელთა არცერთ მშობელს არ აქვს უმაღლესი განათლება, იმ სტუდენტებთან შედარებით, რომელთა მშობლებსაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ.

საქართველოში გაჭირვებულ სტუდენტთა წილი 10%-ით მაღალია იმ სტუდენტთა შორის, რომელთა არცერთ მშობელს არ აქვს უმაღლესი განათლება, იმ სტუდენტებთან შედარებით, რომელთა მშობლებსაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ (შდრ. 26% და 16%). მეტი ინფორმაცია ქვეყნების მიხედვით მშობელთა ფინანსური მდგომარეობის მიხედვით იხ. ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე.

მშობელთა ფინანსური მდგომარეობა მონაწილე ქვეყნების მიხედვით




უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ტრანზიციის (გადასვლა სკოლიდან უმაღლესში, ბაკალავრიატიდან მაგისტრატურაში)

ქვეყანათა უმრავლესობაში სტუდენტების დიდმა ნაწილმა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩააბარა სკოლის (ან მისი ეკვივალენტის) დამთავრებიდან 2 წლის განმავლობაში. ამ მხრივ, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს საქართველოს, სადაც ის შეადგენს 97%-ს, საფრანგეთსა (95%) და იტალიაში ((94%). ქვეყანათა საშუალო მაჩვენებელი ამ პარამეტრის მიხედვით 84%-ს შეადგენს. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს შვედეთს (66%) და ფინეთს (67%), ასევე, ავსტრიასა (72%) და ისლანდიას (72%).

საინტერესოა, რომ მონაწილე ქვეყნებში საშუალოდ სტუდენტთა 61% სწავლას საბაკალავრო პროგრამიდან სამაგისტრო პროგრამაზე აგრძელებს ერთ წელზე ნაკლებს განმავლობაში. 12-24 თვის განმავლობაში სწავლას აგრძელებს საშუალოდ, სტუდენტთა 14%, ხოლო საშუალოდ სტუდენტთა 25%-ს აქვს ორ წელზე მეტი შუალედი საბაკალავრო პროგრამასა და სამაგისტრო პროგრამაზე სწავლას შორის. მალტაში, ისლანდიაში, ნორვეგიაში, ესტონეთში, ისლანდიაში, თურქეთსა და ფინეთში ყველაზე მეტ სტუდენტს აქვს ორ წელზე მეტი წყვეტა საგანმანათლებლო საფეხურებს შორის (შესაბამისად, 51%, 49%, 43%, 41%, 41%, 38%, და 31%). ასეთი წყვეტა ყველაზე იშვიათად გვხვდება იტალიაში, გერმანიაში, შვედეთსა და ჩეხეთში (შესაბამისად სტუდენტთა 7%, 7%, 8% და 8%). საქართველოში იმ სტუდენტების წილი, რომელთაც აქვთ ორ წელზე მეტი შუალედი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე სწავლას შორის, 18%-ს შეადგენს. მეტი ინფორმაციისთვის იხ. წარმოდგენილი დიაგრამა.

ბაკალავრიდან მაგისტრატურის საფეხურზე ტრანზიციის ხანგრძლივობა



სასწავლო პროგრამის/განათლების სფეროს არჩევანი

ქვემოთ წარმოდგენილია ცხრილი, რომელშიც მოცემულია სტუდენტთა პროცენტული განაწილება სწავლების პროგრამების (ISCED-F 2013⁴) მიხედვით კვლევაში მონაწილე ქვეყნებში.

ქვეყნები	განათლება	ხელოვნება, ჰუმანიტარია	სოციალური მეცნიერება, ურუნალი სტიკა და ინფორმაცია	ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	ინჟინერია, წარმოება, მშენებლობა	აგრონომია, სატყეო, მეთევზეობა, ვეტერინარია	მედიცინა და ჯანდაცვა	სერვისები/ მომსახურება
ავსტრია - AT ⁵	14.6	11.7	10.3	21.9	9.9	5.7	14.2	1.2	9.7	0.8
შვეიცარია - CH	12.4	10.5	10.7	23.1	9.5	3.9	13.4	0.7	14.4	1.4
ჩეხეთი-CZ	11	9.6	10.1	20.7	5.2	7	14.8	3.9	11.8	6
დანია - DK	6.3	11	9.8	18.1	6.4	5.4	12.5	1.1	26.6	2.8

⁴ <http://uis.unesco.org/en/topic/international-standard-classification-education-isced>

⁵ აქ და ქვემოთ წარმოდგენილ ნახატებზე გამოყენებულია ქვეყნების ეს აღნიშვნები. უგრო დეტალურად, ევორსტუდენტის კვლევაში გამოყენებული აღნიშვნების შესახებ, იხ. დანართში მოცემულ ცხრილში.

ესტონეთი-EE	7.3	16.8	11.4	16.5	8.2	9.8	7.4	1.3	15.7	5.6
ფინეთი-FI	5.6	11.1	6.3	18.7	4.7	9.6	18.9	2.5	18.9	3.7
საფრანგეთი-FR	3.1	13.2	9.3	28.3	11.5	2.2	15.6	0.1	13.3	3.5
საქართველო-GE	3.8	9.3	15.5	28.7	4	3.2	10	2.7	16.6	3
ხორვატია-HR	7.2	7.9	6.6	28	4.1	8.1	15.8	3.3	12.4	6.7
უნგრეთი-HU	12.1	8.5	8.6	23.1	3.1	8.1	15.1	3.5	12.4	5.6
ირლანდია-IE	7.7	14.2	7.3	18.7	11.3	9.4	11.9	1.9	13.6	3.9
ისლანდია-IS	8.4	13.9	19.7	18.7	7.7	6.1	9.9	1.3	14.4	0
იტალია-IT	5.7	14.5	13.8	17.8	9.7	2.2	16.5	2.8	14.4	2.6
ლიეტუვა-LT	4.2	9.2	8.9	27.1	3.8	5.9	18.3	3.1	17.1	2.2
ლუქსემბურგი-LU	7.7	11.5	13.6	26.3	4.8	6.9	9.2	1.2	18.5	0.2
მალტა-MT	11.6	10.9	7.4	29.4	2.8	7.4	7.7	0.4	19.1	3.4

ნიდერლანდები-NL	9.7	7.9	12.2	27.6	5.9	4.4	9.5	1.1	16.2	5.5
ნორვეგია-NO	20.8	7.1	7.7	19.7	5.5	5.1	10.8	1	21.8	0.4
პოლონეთი-PL	7.1	9.7	11.6	22.3	4.1	6.5	17.4	2	11.4	7.9
პორტუგალია-PT	3	10.8	11.5	24.4	5.9	3	22.4	2.1	14.1	2.8
რუმინეთი-RO	2.3	8	8.9	23.2	3.7	7.7	23.5	4.9	17.9	0
შვედეთი-SE	12.3	9.3	11.7	13.9	5.6	3.7	21.2	1.1	20.1	1.3
სლოვენია-SI	9.7	8.4	8.7	19	5.7	5.6	18.8	2.9	13.2	8
თურქეთი-TR	8.2	14.6	8.2	19.7	4.2	2.1	20.3	2.5	15.4	4.8

განათლების პროგრამებზე ქვეყნებს შორის სტუდენტების ყველაზე დიდი წილი სწავლობს ნორვეგიაში (ნორვეგიის სტუდენტების 20.8%), ხოლო ყველაზე მცირე -საფრანგეთში -3.1%. **საქართველოში** განათლების პროგრამებზე სწავლობს სტუდენტების 3.8%.

ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ პროგრამებზე ქვეყნებს შორის სტუდენტების ყველაზე დიდი წილი სწავლობს ესტონეთში (სტუდენტების 16.8%), ხოლო ყველაზე მცირე - ნორვეგიაში (სტუდენტების 7.1%). **საქართველოში** ამ პროგრამებზე სწავლობს სტუდენტების 9.3%.

სოციალური მეცნიერებების, ჟურნალისტიკისა და ინფორმაციის პროგრამებზე ქვეყნებს შორის სტუდენტების ყველაზე დიდი წილი სწავლობს ისლანდიაში (19.7%), ხოლო ყველაზე მცირე - ფინეთში (6.3%). საქართველოში ამ პროგრამებზე სწავლობს სტუდენტების 15.5%.

ბიზნესის, ადმინისტრირებისა და სამართლის პროგრამებზე ქვეყნებს შორის სტუდენტების ყველაზე დიდი წილი სწავლობს მალტაში (სტუდენტების 29.4%), ხოლო ყველაზე მცირე - ესტონეთში (სტუდენტების 16.5%). საქართველოში ამ პროგრამებზე სწავლობს სტუდენტების 28.7%.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკისა და სტატისტიკის პროგრამებზე ქვეყნებს შორის სტუდენტების ყველაზე დიდი წილი სწავლობს ირლანდიაში (სტუდენტების 11.3%), ხოლო ყველაზე მცირე - მალტაში (სტუდენტების 2.8%). საქართველოში ამ პროგრამებზე სწავლობს სტუდენტების 4%.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ქვეყნებს შორის სტუდენტების ყველაზე დიდი წილი სწავლობს ესტონეთში (სტუდენტების 9.8%), ხოლო ყველაზე მცირე - იტალიასა და საფრანგეთში (2-2%). საქართველოში ამ პროგრამებზე სწავლობს სტუდენტების 3.2%.

ინჟინერიის, წარმოების და მშენებლობის პროგრამებზე პროგრამებზე ქვეყნებს შორის სტუდენტების ყველაზე დიდი წილი სწავლობს რუმინეთში (სტუდენტების 23.5%), ხოლო ყველაზე მცირე - ესტონეთში (სტუდენტების 7.4%). საქართველოში ამ პროგრამებზე სწავლობს სტუდენტების 10%.

აგრონომიის, მეტყვევობის, მეთევზეობის და ვეტერინარიის პროგრამებზე ქვეყნებს შორის ყველაზე სტუდენტების დიდი წილი სწავლობს რუმინეთში (სტუდენტების 4.9%), ხოლო ყველაზე მცირე - საფრანგეთში (სტუდენტების 0.1%). საქართველოში ამ პროგრამებზე სწავლობს სტუდენტების 2.7%.


ჯანდაცვისა და კეთილდღეობის პროგრამებზე ქვეყნებს შორის სტუდენტების ყველაზე დიდი წილი სწავლობს შვედეთში (სტუდენტების 20.1%), ხოლო ყველაზე მცირე - ავსტრიაში (სტუდენტების 9.7%). საქართველოში ამ პროგრამებზე სწავლობს სტუდენტების 16.6%.

სერვისების/მომსახურების პროგრამებზე ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი წილი სტუდენტებისა სწავლობს სლოვენიაში (სტუდენტების 8%), ხოლო ყველაზე მცირე - ლექსემბურგში (სტუდენტების 0.2%)⁶. საქართველოში ამ პროგრამებზე სწავლობს სტუდენტების 6.7%.

ქვეყნების მიხედვით სასწავლო მიმართულებების კომპოზიციის შესახებ თვალსაჩინო ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ.

⁶ რუმინეთსა და ისლანდიაში ამ პროგრამის სტუდენტები კვლევაში დაფიქსირებული არ არის.

სასწავლო მიმართულებებზე სტუდენტების განაწილება



სტუდენტთა გენდერული განაწილება სწავლების საფეხურის, პროგრამების და მშობლების განათლების მიხედვით

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მონაწილე ქვეყნების მონაცემთა მიხედვით, საშუალოდ, ქალი სტუდენტების წილი 56%-ია. ყველა ქვეყანაში, გარდა თურქეთისა და გერმანიისა, ქალი სტუდენტები ჭარბობენ მამაკაც სტუდენტებს და მათი წილი 50%-ს აღემატება. თურქეთში ქალ სტუდენტთა წილი 48%-ია, ხოლო გერმანიაში - 48%. განსაკუთრებით მაღალია ქალი სტუდენტების წილი ესტონეთში (59%), ისლანდიაში (64%), ნორვეგიაში (60%), შვედეთში (60%), სლოვენიაში (58%), უნგრეთში (58%), მალტაში (58%), დანიაში (57%) და ჩეხეთში (57%). **საქართველოში** ქალი სტუდენტების წილი 51%-ია.

მონაწილე ქვეყნების მონაცემების მიხედვით, საშუალოდ, ბაკალავრიატზე ქალი სტუდენტების წილი 55%-ია, ხოლო სამაგისტრო პროგრამებზე - 57%-ია.

ქვეყანათა უმრავლესობაში, მაგისტრატურაში ქალების იგივე წილი სწავლობს, რაც ბაკალავრიატში ან უფრო მეტი. თუმცა, რიგ ქვეყნებში, ქალთა წარმომადგენლობითი წილი მცირდება მაგისტრატურაში ბაკალავრიატთან შედარებით: შვედეთში - 9%-ით, თურქეთში - 5%-ით, დანიაში და მალტაში - 2%-ით, ხოლო ჩეხეთში, საფრანგეთსა და ლუქსემბურგში - 1%-ით.

მეორეს მხრივ, რიგ ქვეყნებში, სამაგისტრო პროგრამებზე საბაკალავროსთან შედარებით უფრო მეტი ქალი სწავლობს. ასე მაგალითად, ესტონეთში უფრო მეტი ქალი სწავლობს სამაგისტრო პროგრამებზე, ვიდრე - საბაკალავროზე. სამაგისტრო პროგრამებზე საბაკალავროსთან შედარებით 14%-ით უფრო მეტი ქალი სწავლობს პოლონეთში, 8%-ით მეტი - ისლანდიაში, 7%-ით მეტი - რუმინეთში, 6%-ით მეტი - **საქართველოში**, 5%-ით მეტი -- ფინეთში, 4%-ით მეტი - ირლანდიაში და 3%-ით მეტი - პორტუგალიაში.

საქართველოში ბაკალავრიატის საფეხურზე ქალი სტუდენტების წილი 50%-ია, ხოლო სამაგისტრო საფეხურზე - 56%.

რაც შეეხება სწავლების ცალკეულ პროგრამებს, მკვეთრი გენდერული ასიმეტრიით, მამაკაცების მაღალი წარმომადგენლობითი წილით გამოირჩევა ორი მიმართულება - საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ინჟინერია, წარმოება, მშენებლობა, სადაც მამაკაცი სტუდენტების წილის ქვეყანათა საშუალო არის, შესაბამისად, 80% და 73%. ასევე მკვეთრი გენდერული ასიმეტრიით, ოღონდ ქალების მაღალი წარმომადგენლობითი წილით, ასევე გამოირჩევა ორი მიმართულება - განათლების პროგრამები და მედიცინისა და ჯანდაცვის პროგრამები, სადაც ქალი სტუდენტების წილის ქვეყანათა საშუალო არის, შესაბამისად, 77% და 73%.

კვლევაში მონაწილე თითქმის ყველა ქვეყანაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროგრამებზე ქალი სტუდენტების წილი უფრო დაბალია, ვიდრე ქალი სტუდენტების საშუალო წილი სწავლების ყველა სფეროში ყველა ქვეყანაში. გამონაკლისს წარმოადგენენ ლუქსემბურგი, ისლანდია და ფინეთი, სადაც ქალი სტუდენტების წილი კიდევ უფრო დაბალია ინჟინერიის, წარმოების და მშენებლობის მიმართულების პროგრამებზე.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროგრამებზე ქალ სტუდენტთა წილი განსაკუთრებით დაბალია საქართველოში (11%), შვეიცარიაში (13%), პოლონეთსა (14%), პორტუგალიაში (14%).

განათლების მიმართულების, ისევე როგორც მედიცინისა და ჯანდაცვის მიმართულების პროგრამებზე, უმრავლეს ქვეყნებში, ქალები წარმოდგენილნი არიან უფრო მაღალი პროცენტული წილით, ვიდრე ქალი სტუდენტების საშუალო წილი სწავლების ყველა სფეროში ყველა ქვეყანაში. მონაწილე ქვეყანათა ერთ მესამედზე მეტში, ქალების წილი განათლების მიმართულების პროგრამებზე 80% ან უფრო მეტია. კერძოდ, განათლების პროგრამებზე ქალ სტუდენტთა წილი იტალიაში 95%-ია, რუმინეთში - 93%, მალტაში - 90%, სლოვენიაში - 88%, უნგრეთსა და ესტონეთში - 85%-85%, ისლანდიაში - 83%, პოლონეთში - 81%, ხოლო საფრანგეთში - 80%. საქართველოში განათლების პროგრამებზე ქალ სტუდენტთა წილი 74%-ია.

საწინააღმდეგო პერსპექტივიდან თუ შევხედავთ საკითხს და განვიხილავთ მამაკაცების პროცენტულ წილს ამ პროგრამების მიხედვით, ვნახავთ, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროგრამებზე არის მამაკაცთა ყველაზე მაღალი პროცენტული წილი მაშინ, როცა მათი პროცენტული წილი განათლების მიმართულებაზე ყველაზე დაბალია.

განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტები


ევროსტუდენტის კვლევის მონაწილე ქვეყნებს შორის საკმაოდ განსხვავდება წილი იმ სტუდენტებისა, რომლებიც გარკვეული სახის უნარების შეზღუდვას, დარღვევებს, ჯანმრთელობის ხანგრძლივ პრობლემებს ან ფუნქციონალურ შეზღუდვებს აღნიშნავენ⁷.

რიგ ქვეყნებში განსაკუთრებულ საგანმანათლებლო საჭიროებებს აღნიშნავს სტუდენტთა 10%-ზე ნაკლები. ასეთი ქვეყნებია: ესტონეთი (8.7%), საქართველო (8.7%), უნგრეთი (8.7%) და პორტუგალია (9.6%).

ისლანდიაში, ნორვეგიასა და ფინეთში ასეთი პრობლემების მქონე სტუდენტების წილი ყველაზე მაღალია და შესაბამისად, შეადგენს: ისლანდიაში სტუდენტთა 30.5%-ს, ნორვეგიაში - 22.9%-ს, ხოლო ფინეთში - 21.9%-ს.

უფრო დეტალურად აღნიშნული ინფორმაცია ქვეყნების მიხედვით წარმოდგენილია დიაგრამაზე.

⁷ აღსანიშნავია, რომ ეს შედეგი ეყრდნობა სტუდენტთა გამოკითხვას, რომელშიც მათ უნდა განეცხადებინათ ჯანმრთელობის პრობლემების/შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ და ამდენად, ეს არის ე. წ. გაცხადებულ შემთხვევათა რაოდენობა.



აღსანიშნავია, რომ ავსტრიაში, საქართველოში, ლიეტუვაში, ნორვეგიასა და პოლონეთში სტუდენტების მიერ ყველაზე ხშირად დასახელებულია ფიზიკური ქრონიკული დაავადებები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სტუდენტთა მიერ დასახელებული პრობლემები ყოველთვის არ არის თვალშისაცემი და შესაბამისად, მათი გარემოცვისთვის შესამჩნევი. ევროსტუდენტის კვლევაში მონაწილე ქვეყანათა დაახლოებით 70% აცხადებს, რომ მათი ჯანმრთელობის პრობლემები არ არის შესამჩნევი სხვებისთვის, ხოლო მათგან დაახლოებით ერთი მეხუთედი აღნიშნავს, რომ მათი პრობლემები გარემოცვისთვის შესამჩნევი ხდება გარკვეული დროის შემდეგ.

განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტები კვლევაში აფასებდნენ საზოგადოებრივ და ინსტიტუციურ მხარდაჭერას მათ მიმართ. აღმოჩნდა, რომ საშუალოდ, მონაწილე ქვეყნებში სსსმ სტუდენტების 36% მხარდაჭერას არასაკმარისად

მიიჩნევს, 18% - ნაწილობრივ საკმარისად, ხოლო სსსმ სტუდენტთა 21% - სრულიად არასაკმარისად. აღსანიშნავია ისიც, რომ სსსმ სტუდენტების 25%-ს მიაჩნია, რომ მათ საზოგადოებრივი და ინსტიტუციური მხარდაჭერა არ სჭირდებათ.

ავსტრიაში, უნგრეთში, სლოვენიაში, ხორვატიაში, ლიეტუვაში, ფინეთში, ნორვეგიაში, თურქეთსა და პორტუგალიაში 40%-ზე მაღალია იმ სსსმ სტუდენტთა წილი, ვინც უკმაყოფილოა საზოგადოებრივი და ინსტიტუციური მხარდაჭერით.

ირლანდიაში, **საქართველოში**, ნიდერლანდებსა და რუმინეთში სსსმ სტუდენტთა 30% მეტი უკმაყოფილოა საზოგადოებრივი და ინსტიტუციური მხარდაჭერით.

სტუდენტთა მიერ დახარჯული დრო სწავლასა და მუშაობაზე

ეს მონაცემები ეხება სტუდენტების ე.წ. „დროის ბიუჯეტს“, რომელსაც ისინი ანაწილებენ საუნივერსიტეტო/სალექციო სწავლაზე (Thought Studies), ინდივიდუალურ მესადინეობაზე (Personal Study Time) და ანაზღაურებად სამუშაოზე ტიპურ კვირაში სალექციო პერიოდის განმავლობაში.


სტუდენტების „დროის ბიუჯეტი“ მონაწილე ქვეყნების მიხედვით შეადგენს კვირაში 47 საათს, საიდანაც საუნივერსიტეტო/სალექციო სწავლაზე დახარჯული დროა 16 საათი, ინდივიდუალურ მესადინეობაზე დახარჯული დროა 17 საათი, ხოლო სამუშაოზე კი - 14 საათი.

საქართველოში სტუდენტების საშუალო „დროის ბიუჯეტი“ მონაწილე ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალია და შეადგენს კვირაში 55 სთ-ს. ასევე ყველაზე მაღალია საქართველოში სტუდენტების მიერ ანაზღაურებად სამუშაოზე დახარჯული დრო - კვირაში საშუალოდ 28 საათი. მაღალია სტუდენტების მიერ ანაზღაურებად სამუშაოზე დახარჯული დრო, ასევე, ესტონეთში (19 სთ კვირაში), პოლონეთში (18 სთ კვირაში); ჩეხეთში, უნგრეთში, ლიტვასა და სლოვენიაში სტუდენტები კვირაში საშუალოდ 16 საათს ხარჯავენ ანაზღაურებად სამუშაოზე.

ანაზღაურებად სამუშაოზე დახარჯული დრო კვირაში ყველაზე დაბალია იტალიაში, სადაც სტუდენტები სამუშაოზე მხოლოდ 5 საათს ხარჯავენ. ანაზღაურებად სამუშაოზე კვირაში საშუალოდ 6 საათს ხარჯავენ სტუდენტები გერმანიაში, ლუქსემბურგში, საფრანგეთსა და შვედეთში.

სხვა მონაწილე ქვეყნებთან შედარებით, **საქართველოში** სტუდენტები ყველაზე ცოტა დროს - კვირაში საშუალოდ 27 სთ-ს ხარჯავენ სწავლაზე (სალექციო და ინდივიდუალურ მესადინეობაზე), ხოლო ლუქსემბურგში კი - ყველაზე მეტ დროს - კვირაში 40 სთ-ს.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოზე დახარჯული დროის მიხედვით ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთსაინანაღმდეგო მიმართებაა: ლუქსემბურგში სამუშაოზე ხარჯავენ მხოლოდ 6 საათს, ხოლო საქართველოში - სამუშაოზე ხარჯავენ 28 საათს, რომელიც ორჯერ უფრო მეტია ვიდრე მონაწილე ევროპის ქვეყნების საშუალო (14 სთ კვირაში). აღნიშნულ საკითხზე უფრო დეტალური ინფორმაცია ქვეყნების მიხედვით წარმოდგენილია დიაგრამაზე.



სტუდენტთა დასაქმება

მონაწილე ქვეყნებში, საშუალოდ, სტუდენტთა 78 %-ს აქვს ანაზღაურებადი სამუშაო. დაახლოებით 60% მუშაობს სალექციო პერიოდის განმავლობაში მუდმივად, ხოლო სტუდენტების 18 % - კი მუშაობს მხოლოდ ლექციებისგან თავისუფალ პერიოდში. მონაწილე ქვეყნებში, საშუალოდ, სტუდენტების მხოლოდ 18% არ არის დასაქმებული.

მომუშავე სტუდენტების ყველაზე დიდი წილია ჩეხეთის რესპუბლიკაში (85%), ისლანდიაში (89%), სლოვენიაში (86%), ნიდერლანდებში (85%) და რუმინეთსა და თურქეთში (ორივეგან 100-100%).

საქართველოში დასაქმებულ სტუდენტთა წილი 46%-ია.

ლექციებისგან თავისუფალ პერიოდში მუშაობა ყველაზე ხშირად გვხვდება ფინეთში (27%), შვედეთში (30%) და თურქეთში (47%). საქართველოში ლექციების პერიოდში და ლექციებისგან თავისუფალ პერიოდში (მუდმივად) მუშაობს სტუდენტთა 26%, მხოლოდ ლექციების პერიოდში - 10% და მხოლოდ ლექციებისგან თავისუფალ პერიოდში - 10%.

ყველა ქვეყანაში უფრო ასაკოვანი სტუდენტები უფრო ხშირად არიან დასაქმებულები, ვიდრე შედარებით ახალგაზრდა სტუდენტები, ისევე როგორც მაგისტრატურის სტუდენტები - ბაკალავრის სტუდენტებთან შედარებით. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა 71%-ს, ხოლო ბაკალავრის სტუდენტთა საშუალოდ 57%-ს აქვს ანაზღაურებადი სამსახური.

ევროსტუდენტის საშუალო მონაცემის მიხედვით, 22 წლის ქვემოთ სტუდენტთა მხოლოდ ნახევარი მუშაობს სალექციო პერიოდის განმავლობაში. იმ დროისათვის, როდესაც ისინი აღწევენ 30 წელს ან უფროს მეტ ასაკს, მათი 77% ახერხებს სწავლისა და ანაზღაურებადი სამსახურის შეთავსებას.

მონაწილე ქვეყნებს შორის საშუალოდ, იმ სტუდენტთაგან, რომელიც იღებს სახელმწიფო მხარდაჭერას, მუშაობს მხოლოდ 51%, ხოლო იმათგან, ვინც არ იღებს სახელმწიფო მხარდაჭერას, სალექციო პერიოდში მუშაობს - 67%.

სტუდენტები, რომელთა მშობლებსაც არ აქვთ უმაღლესი განათლება, უფრო ხშირად მუშაობენ სალექციო პერიოდის განმავლობაში, თუმცა ეს ტენდენცია თითქმის არ ვლინდება ზოგიერთ ქვეყანაში, ესენია: ისლანდია, დანია, ფინეთი, **საქართველო** და საფრანგეთი. სხვაობა ამ თვალსაზრისით უმაღლესი განათლების მქონე და არ მქონე მშობლების სტუდენტებში უფრო დიდია, ვიდრე - ევროსტუდენტის საშუალო მაღტაში, პოლონეთსა და უნგრეთში.

მონაწილე ქვეყნებში სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ მიმართულებებზე „განათლება“ (56%), „ჯანდაცვა და კეთილდღეობა“ (53%) და კომპიუტერული ტექნოლოგიები“ (52%), უფრო ხშირად აქვთ სამუშაო, რომელიც დაკავშირებულია მათი სწავლის მიმართულებასთან, ვიდრე - მომუშავე სტუდენტებს მიმართულებაზე „მეცნიერება, მათემატიკა და სტატისტიკა“ (34%).

ქვეყნების თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ ფინეთში, ესტონეთში, ნორვეგიაში, მალტაში, დანიაში, უნგრეთსა და გერმანიაში დასაქმებულ სტუდენტთა ნახევარზე მეტს აქვს სპეციალობასთან დაკავშირებული სამუშაო. ნიდრელანდებში, ირლანდიასა და პოლონეთში ასეთი სამუშაო აქვს დასაქმებულ სტუდენტთა მესამედზე ნაკლებს.

სასწავლო მიმართულების მიხედვით თუ შევხედავთ მონაცემებს, დავინახავთ, რომ მალტელი სტუდენტები „განათლების მიმართულებაზე“ ყველაზე ხშირად არიან დასაქმებულები სპეციალობით.

საქართველოში სპეციალობით დასაქმებულ სტუდენტთა წილი ყველაზე მაღალია, ასევე, განათლების მიმართულებაზე და იგი თითქმის 60%-ს აღწევს.

კვლევის მნიშვნელოვანი კითხვაა, თუ რატომ მუშაობენ სტუდენტები. კვლევაში სტუდენტებს მიენოდათ მუშაობის რამდენიმე მიზეზი, რომლებიც შედეგების საფუძველზე ასე დალაგდა ქვეყნის საშუალო მონაცემის მიხედვით:

- მუშაობს იმისთვის, რომ დაფაროს საცხოვრებელი ხარჯები - 68%;
- მუშაობს იმისთვის, რომ შეიძინოს ნივთები, რომელსაც სხვაგვარად ვერ შეიძენდა - 65%;
- მუშაობს იმისთვის, რომ დააგროვოს გამოცდილება შრომის ბაზარზე - 57%;
- მუშაობს იმისთვის, რომ დაფაროს სწავლასთან დაკავშირებული ხარჯები - 50%;
- მუშაობს იმისთვის, რომ შეინახოს სხვები - 22%.

საქართველოში სტუდენტთა მუშაობის მიზეზები ასე გამოიყურება:

- მუშაობს იმისთვის, რომ დაფაროს საცხოვრებელი ხარჯები - 48%
- მუშაობს იმისთვის, რომ შეიძინოს ნივთები რომელსაც სხვაგვარად ვერ შეიძენდა - 58%
- მუშაობს იმისთვის, რომ დააგროვოს გამოცდილება შრომის ბაზარზე - 60%
- მუშაობს იმისთვის, რომ დაფაროს სწავლასთან დაკავშირებული ხარჯები - 42%
- მუშაობს იმისთვის, რომ შეინახოს სხვები - 42%

საკუთარი თავის იდენტიფიცირება: “პირველ რიგში სტუდენტი ვარ თუ დასაქმებული?”


საშუალოდ, ყოველი მეხუთე სტუდენტი საკუთარ თავს პირველ რიგში მიიჩნევს უფრო მეტად დასაქმებულად (მომუშავედ), ვიდრე - სტუდენტად. მონაწილე ქვეყნების მიხედვით, პირველ რიგში დასაქმებულად საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენს, საშუალოდ, სტუდენტების 20%.

ყველაზე მაღალი წილი იმ სტუდენტებისა, რომელიც საკუთარ თავს ჯერ მომუშავედ მიიჩნევენ, ხოლო შემდეგ კი -სტუდენტად, არის მალტაზე, პოლონეთში, ესტონიაში და უნგრეთში. ამ ქვეყნებში, სტუდენტთა დაახლოებით ერთი მესამედი საკუთარი თავის იდენტიფიცირებისას აღნიშნავს, რომ ის არის პირველ რიგში მომუშავე (დასაქმებული) და მხოლოდ შემდეგ - სტუდენტი.

საქართველოში ასეთ სტუდენტთა წილი მხოლოდ 10%-ია. კიდევ უფრო მცირეა ასეთ სტუდენტთა წილი, ისეთ ქვეყნებში როგორცაა, დანია, იტალია, თურქეთი, შვედეთი.

ქვეყნების მიხედვით მონაცემები საკუთარი თავის იდენტიფიცირების თვალსაზრისით მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკზე.

საკუთარი თავის იდენტიფიცირება



სტუდენტთა შემოსავლები და დანახარჯები

ევროსტუდენტის პროექტის მონაწილე ქვეყნების სტუდენტების დაახლოებით მეოთხედი უჩივის ფინანსურ სირთულეებს.

საქართველოში, ისლანდიაში, მალტაში და თურქეთში შედარებით მაღალია (30% და მეტი) იმ სტუდენტთა წილი რომელიც აღნიშნავს სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს.

შედარებით დაბალია (არაუმეტეს 19%-ისა) ასეთ სტუდენტთა წილი გერმანიაში, ხორვატიაში, საფრანგეთში, ჩეხეთში, შვედეთში, შვეიცარიაში და პორტუგალიაში.

სტუდენტთა მედიანური შემოსავალი ქვეყნებში საშუალოდ 861 PPS⁸ -ია თვეში. სტუდენტთა შემოსავლები საერთაშორისო მედიანაზე განსაკუთრებით მაღალია შვეიცარიაში (1170 PPS), რუმინეთში (1137 PPS), ესტონეთში (1100 PPS), ისლანდიასა (1072 PPS) და ნორვეგიაში (1030 PPS). საშუალოზე მაღალია სტუდენტთა შემოსავლები, ასევე, ნიდრელანდებში, ლიეტუაში, ავსტრიაში, ფინეთში, ხორვატიაში და მალტაში. დანარჩენ ქვეყნებში სტუდენტთა შემოსავალი საერთაშორისო საშუალოს ქვემოთაა.

სტუდენტთა შემოსავალი განსაკუთრებით დაბალია ლუქსემბურგში, საქართველოში და თურქეთში. იგივე ვერ აღწევს 700 PPS თვეში. ასე მაგალითად, **საქართველოში** სტუდენტთა შემოსავალი შეადგენს 375 PPS-ს და მონაწილე ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალია.

საშუალოდ ყველა ქვეყნის მიხედვით ყოველთვიური შემოსავლების 36%-ს სტუდენტები იღებენ საკუთარი მშობლებისგან ან პარტნიორისგან, სტუდენტთა მიერ თვითგამომუშავებული თანხა შეადგენს შემოსავლების 43%-ს, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მხარდაჭერის თანხა შეადგენს 14%-ს, ხოლო დანარჩენი 7% მოდის სხვა წყაროებზე.

საქართველოში, ლუქსემბურგში, გერმანიაში, საფრანგეთში, ხორვატიაში, თურქეთში და რუმინეთში სტუდენტების შემოსავლების ნახევარი ან მეტი მშობლების ან პარტნიორების კონტრიბუციას წარმოადგენს.

ქვეყანათა ორ მესამედში კი სტუდენტთა მიერ თვითგამომუშავებული თანხა შეადგენს სტუდენტთა ფინანსური რესურსების მთავარ წყაროს. სახელმწიფო მხარდაჭერა დომინანტური რესურსია მხოლოდ შვედეთის შემთხვევაში, სადაც სტუდენტური შემოსავლების ნახევარს ეს წყარო შეადგენს.

საქართველოში სტუდენტური შემოსავლების კომპოზიცია შემდეგნაირია:

- მშობელთა/პარტნიორთა მხარდაჭერა - სრული შემოსავლის 61%;
- თვითგამომუშავებული თანხა - 24%;
- საზოგადოებრივი/ სახელმწიფო მხარდაჭერა - 12 %;

⁸ იქიდან გამომდინარე, რომ ევროსტუდენტის კვლევის მონაწილე ქვეყნების ნაწილი არ არის ევროს მოქმედების სივრცეში, სტუდენტთა შემოსავლების გასაზომად გამოყენებულია PPS (Purchasing Power Standard) - შემსყიდველობის სიძლიერის სტანდარტი. იგი საშუალებას იძლევა ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა ქვეყანაში სტუდენტთა შემოსავლები.

- და სხვა წყაროები - 4%,

თითქმის ყველა ქვეყანაში სტუდენტთა შემოსავლების კომპოზიცია იცვლება სტუდენტთა ასაკთან ერთად, კერძოდ, რაც უფრო ემატებათ ასაკი, მით უფრო მცირდება მშობელთა მხარდაჭერა და იზრდება თვითგამომუშავებული თანხა.

ქვეყანათა უმრავლესობაში (71%) სახელმწიფო მხარდაჭერას აქვს არადასაბრუნებელი ფინანსური მხარდაჭერის (გრანტის) სახე, მაშინ როცა ქვეყანათა 29%-ში გამოიყენება სტუდენტთა უკან დასაბრუნებელი ფინანსური მხარდაჭერის ფორმა (სესხი).

ავსტრია, ჩეხეთის რესპუბლიკა, საქართველო, იტალია და რუმინეთი იყენებს სტუდენტთა მხარდაჭერის მხოლოდ ისეთ სახელმწიფო ფორმას, რომელიც გულისხმობს სტუდენტებისათვის გრანტის დაუბრუნებელი თანხის მიცემას. სხვა ქვეყნებში გამოიყენება როგორც ერთი, ასევე - მეორე ფორმა.

ქვეყანათა შორის საშუალოს მიხედვით, სტუდენტთა ყოველთვიური დანახარჯები შემდეგნაირია:

64% - სტუდენტების მიერ გადახდილი საცხოვრებელი ხარჯები,

23% - სხვების (მშობლები/პარტნიორი) მიერ გადახდილი საცხოვრებელი ხარჯები,

8% - სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლასთან დაკავშირებული ხარჯები და

5% სხვების მიერ გადახდილი სწავლასთან დაკავშირებული ხარჯები.

ქვეყანათა საშუალოს მიხედვით ის სტუდენტები, რომლებიც არ ცხოვრობენ მშობლებთან ერთად, საკუთარი შემოსავლების 66%-ს ხარჯავენ საცხოვრებლად, ხოლო 8%-ს - სწავლაში; სტუდენტები, რომლებიც მშობლებთან ცხოვრობენ საკუთარი შემოსავლების 50%-ს ხარჯავენ საცხოვრებლად, ხოლო 9%-ს - სწავლაში;

საქართველოში, ის სტუდენტები, რომლებიც არ ცხოვრობენ მშობლებთან ერთად, საკუთარი შემოსავლების 53%-ს ხარჯავენ საცხოვრებლად, ხოლო 11%-ს - სწავლაში; სტუდენტები, რომლებიც მშობლებთან ცხოვრობენ საკუთარი შემოსავლების 49%-ს ხარჯავენ საცხოვრებლად, ხოლო 9%-ს - სწავლაში.

სტუდენტთა საცხოვრებელი (Form of Housing)

ევროსტუდენტის ქვეყნებში სტუდენტთა უმრავლესობა არ ცხოვრობს მშობლებთან ერთად. ქვეყანათა სამ მეოთხედში სტუდენტები ცალკე ცხოვრობენ, თუმცა რიგ ქვეყნებში მშობლებთან ცხოვრება სტუდენტთა საცხოვრებლის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება იტალია, სადაც სტუდენტთა 68% მშობლებთან ერთად ცხოვრობს, მალტა - მშობლებთან ერთად სტუდენტთა 63% ცხოვრობს და **საქართველო**, სადაც მშობლებთან ერთად სტუდენტთა 62% ცხოვრობს. მაღალია იმ სტუდენტთა წილი, რომლებიც მშობლებთან ერთად ცხოვრობენ, ასევე, რუმინეთში (54%), პორტუგალიასა (53%) და ლუქსემბურგში (53%).

საშუალოდ, მონაწილე ქვეყნებში სტუდენტთა

34% ცხოვრობს მშობლებთან,

17% - სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში,

25% - პარტნიორებთან/საკუთარ ოჯახთან,

13% - სხვებთან (მეგობრები, თანაკურსელები და სხვ.) ერთად,

11% - მარტო.

საქართველოში სტუდენტთა

62% ცხოვრობს მშობლებთან,

3% - სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში,


7% - პარტნიორებთან/საკუთარ ოჯახთან,

15% - სხვებთან (მეგობრები, თანაკურსელები და სხვ.) ერთად,

13% - მარტო.


ქვეყნებს შორის საერთო საცხოვრებლებში სტუდენტთა ყველაზე დიდი წილი ცხოვრობს თუქეთში(45%), ნიდერლანდებში (30%), ფინეთში (25%), შვედეთში (31%), ლიტუაში (24%) და სლოვენიაში (24%).

უფრო დეტალურად აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამაზე .



სტუდენტთა საერთაშორისო მობილობა

ევროსტუდენტის კვლევის მონაწილე ქვეყნებში მობილობის გამოცდილების მქონე სტუდენტთა წილი ყველაზე მცირეა თურქეთსა და პოლონეთში (ორივეგან 7-7%) და ყველაზე მაღალია ლიეტუვაში (39%). **საქართველოში** მობილობის გამოცდილების მქონე სტუდენტთა წილი 18%-ია. უფრო დეტალურად აღნიშნულ საკითხზე ქვეყნებში არსებული ვითარების შესახებ იხ. ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე.



ევროსტუდენტის კვლევის მონაწილე ქვეყნებში საშუალოდ სტუდენტთა 32% აცხადებს, რომ მას განზრახული აქვს საზღვარგარეთ სასწავლებლად ან მობილობის სხვა ფორმით გამგზავრება ან უკვე დაწყებული აქვს სამუშაო ამ მიმართულებით.

ქვეყნებს შორის ყველაზე ხშირია საერთაშორისო მობილობის განზრახვა იტალიაში (58%), საქართველოში (57%), თურქეთში (55%) და ესტონეთში (51%). ყველაზე მცირეა საერთაშორისო მობილობის მსურველი სტუდენტები პოლონეთში (20%), ლიეტუვასა (16%) და ფინეთში (19%).

ქვეყანათა უმრავლესობაში საერთაშორისო მობილობის ძირითად ბარიერად სტუდენტების მიერ სახელდება “დამატებითი ფინანსური ტვირთი”. ამ პრობლემას ასახელებს საშუალოდ სტუდენტთა 60%, ხოლო საქართველოს სტუდენტთა - 41%.

მომდევნო ბარიერია „პარტნიორთან, შვილებთან, მეგობრებთან დაცემა“ (41%). ამ წინააღმდეგობას საქართველოში ასახელებს სტუდენტთა 22%.

წინააღმდეგობა „საკუთარ სოციალურ წრესთან განშორების სირთულეები“ სახელდება მონაწილე ქვეყნების სტუდენტთა 35%-ის მიერ, საქართველოში ამ ბარიერს ასახელებს სტუდენტთა 30%.

წინააღმდეგობა „ანაზღაურებადი სამუშაოს დაკარგვა“ დასახელებულია საშუალოდ მონაწილე ქვეყნების სტუდენტთა 39%-ის მიერ, საქართველოში ამ პრობლემას ასახელებს სტუდენტთა 34%.

წინააღმდეგობა „ნაკლები სარგებელი მშობლიურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისთვის“ დასახელებულია საშუალოდ მონაწილე ქვეყნების სტუდენტთა 30%-ის მიერ, საქართველოში ამ პრობლემას ასახელებს სტუდენტთა 24%.

წინააღმდეგობა „მოტივაციის ნაკლებობა“ დასახელებულია საშუალოდ მონაწილე ქვეყნების სტუდენტთა 29%-ის მიერ, საქართველოში ამ პრობლემას ასახელებს სტუდენტთა 29%.

ბარიერი „საზღვარგარეთ არსებული სასწავლო პროგრამების ინტეგრაციის სირთულე მშობლიური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროგრამის სტრუქტურაში“ დასახელებულია საშუალოდ მონაწილე ქვეყნების სტუდენტთა 29%-ის მიერ, საქართველოში ამ პრობლემას ასახელებს სტუდენტთა 26%.

წინააღმდეგობა „საზღვარგარეთ მიღწეული შედეგების აღიარების პრობლემები“ დასახელებულია საშუალოდ მონაწილე ქვეყნების სტუდენტთა 23%-ის მიერ, საქართველოში ამ პრობლემას ასახელებს სტუდენტთა 23%.

წინააღმდეგობა „უცხოური ენის ფლობის არასაკმარისი დონე“ დასახელებულია საშუალოდ მონაწილე ქვეყნების სტუდენტთა 21%-ის მიერ, საქართველოში ამ პრობლემას ასახელებს სტუდენტთა 28%.

წინააღმდეგობა „ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მონოდებული ინფორმაციის ნაკლებობა“ დასახელებულია საშუალოდ მონაწილე ქვეყნების სტუდენტთა 20%-ის მიერ, საქართველოში ამ პრობლემას ასახელებს სტუდენტთა 25%.

წინააღმდეგობა „მობილობის პროგრამებზე შეზღუდული წვდომა“ დასახელებულია საშუალოდ მონაწილე ქვეყნების სტუდენტთა 15%-ის მიერ, საქართველოში ამ პრობლემას ასახელებს სტუდენტთა 26%.


წინააღმდეგობა „ქვეყანაში შესვლასთან დაკავშირებული პრობლემები“ დასახელებულია საშუალოდ მონაწილე ქვეყნების სტუდენტთა 12%-ის მიერ, საქართველოში ამ პრობლემას დასახელებს სტუდენტთა 26%.

წინააღმდეგობა „ჯანმრთელობა/შეზღუდული შესაძლებლობები“ დასახელებულია საშუალოდ მონაწილე ქვეყნების სტუდენტთა 8%-ის მიერ, საქართველოში ამ პრობლემას დასახელებს სტუდენტთა 16%.

ამგვარად, საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვან ბარიერად სახელდება „დამატებითი ფინანსური ტვირთი“, შემდეგ აღვივლებთ „საკუთარი სოციალური წრის დაკარგვა“, „მოტივაციის ნაკლებობა“ და „უცხოური ენის ფლობის არასაკმარისი დონე“.

უფრო დეტალური ინფორმაცია მობილობის ხელისშემშლელი ფაქტორების შესახებ იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე.

მობილობის ხელისშემშლელი ფაქტორები



ძირითადი რეკომენდაციები

1. ქალი სტუდენტების წახალისება STEM მიმართულებებზე, რომლებიც, თავის მხრივ, შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ მეცნიერების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ინჟინერიის მიმართულებებს.
2. მამრობითი სქესის სტუდენტების წახალისება განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე, რადგან ამ მიმართულებებზე მამაკაცი სტუდენტების რაოდენობა ძალან მწირია.
3. სტუდენტური დასაქმების ხელშეწყობა, რადგან სტუდენტთა უმრავლესობა სამსახურს განიხილავს, როგორც შრომის ბაზარზე გამოცდილების შეძენის საშუალებას;
4. მობილობის შესახებ სტუდენტთა უკეთ ინფორმირება და უცხოური ენის სწავლების ხელშეწყობა;
5. სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებისა და სტუდენტური სივრცეების უზრუნველყოფა;
6. განათლების ფონის გარეშე სტუდენტთათვის საკონსულტაციო ცენტრების ჩამოყალიბება;
7. განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო პირობებისა და რესურსების უზრუნველყოფა;
8. აღნიშნული საკითხების შესახებ თვისებრივი მასალის მოგროვება და სიღრმისეული კვლევა.

გამოყენებული მასალები

- სტუდენტთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში, ევროსტუდენტი VII-ის კვლევის ეროვნული ანგარიში, 2020.
- Eurostudent VII, Overview and Selected Findings, wbv, 2021.
- Flexible Pathways into and within Higher Education, Eurostudent VII, 2021 (Thematic Review).
- What Determines Student's Social Integration in Higher Education?, Eurostudent VII, 2021 (Thematic Review).
- Social and Economic Conditions of Students Life in Europe, Eurostudent VI 2019-2021 |Synopsis of Indicators. wbv, 2021.
- ევროსტუდენტის მონაცემთა ბაზა - <http://www.eurostudent.eu/results/data>.

დანართი #1 - ევროსტუდენტი VII-ის კვლევის მონაწილე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

#	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
1	ა(ა)იპ ახალი საქართველოს უნივერსიტეტი
2	ა(ა)იპ მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია
3	ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
4	ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

#	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
5	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქო გრემის სასულიერო სემინარია
6	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარია
7	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
8	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარია
9	ა(ა)იპ წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ცაგერის სასულიერო სემინარია
10	ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
11	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი
12	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
13	სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
14	სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
15	სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
16	სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
17	სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
18	სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
19	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
20	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
21	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

#	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
22	სსიპ სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
23	სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
24	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
25	სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
26	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
27	სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
28	სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
29	შპს "გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი"
30	შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი
31	შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი
32	შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი
33	შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
34	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
35	შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი
36	შპს ევროპის უნივერსიტეტი
37	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
38	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
39	შპს კავკასიის უნივერსიტეტი

#	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
40	შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია
41	შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი
42	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
43	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
44	შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
45	შპს უმაღლესი სასწავლებელი "ჯორჯია"
46	შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
47	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი
48	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
49	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
50	შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი
51	შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი
52	შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი
53	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
54	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
55	შპს უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემია

დანართი #2 - მონაწილე ქვეყნების შემოკლებული აღნიშვნები

	ქვეყნები
AT	ავსტრია
CH	შვეიცარია
CZ	ჩეხეთი
DK	დანია
EE	ესტონეთი
FI	ფინეთი
FR	საფრანგეთი
GE	საქართველო
HR	ხორვატია
HU	უნგრეთი
IE	ირლანდია
IS	ისლანდია
IT	იტალია
LT	ლიეტუვა
LU	ლუქსემბურგი
MT	მალტა
NL	ნიდერლანდები
NO	ნორვეგია
PL	პოლონეთი
PT	პორტუგალია
RO	რუმინეთი
SE	შვედეთი
SI	სლოვენია
TR	თურქეთი

